პროექტი

განკარგულება N

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის N26 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^1 მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის N 26 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.
2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის N26 დადგენილებაში ცვლილებების შესტანის თაობაზე. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტარაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქრთველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ.N4- ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: ლია ჩიგოგიძე

პროექტი

დადგენილება N

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის N26 დადგენილებაში (სსმ 14.06 2013) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლს დაემატოს „მე-9“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „9 უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხებში“.

მუხლი 2

დადგენილებით დამტკიცებული დებულების III თავის - „ აპარატის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები“ დაემატოს მე-13 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „13 უმცროსი საჯარო თანამდებობის პირის ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხებში ფუნქციებია:

ა) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების სხდომების, აგრეთვე თვითმმართველი ერთეული ორგანოების მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

ბ) ორგანიზაციას უწევს სხდომებზე პირთა გაფრთხილებას და მოწვევას, ახდენს მათ რეგისტრაციას.

გ) ორგანიზაციულ დახამრებას უწევს საკრებულოს წევრებ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილების განხორციელებაში.

დ) საკრებულოს ორგანოების სამუშაო გეგმების საფუძველზე ახდენს წლიური სამუშაო გეგმის პროექტს, აკონტროლებს სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ვადების დაცვას.

ე) ორგანიზებას უწევს თვითმმართველი ერთეულის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრას მოსახლეობასთან.“

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი: ლია ჩიგოგიძე